# სახალხო გაზეთი

№ 608 შაბათი, 26 მაისი, 1912 წ. № 608

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.


27 მაისს, 1912 წ., კვირას, „ახალ კლუბის" ბაღში (ქართულ თეატრთან),

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება **დიდი სეირნობა** გაიმართება

შემდეგის პროგრამით: ამერიკული ბაზარი, ფოსტა. პტი—შვო. ყვავილები. რგოლების სროლა. კონფეტტი. დაუშრეტელი ყანწი. საბედო ბავშვებისთვის ბუფეტი. გასაღები: საჩუქრები. დედოფალა. ფუტბოლის ბურთ. Cafe-concert. სინემატოგრაფი. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. ფასი: ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კ., დიდებისთვის 30 კაპ. დასაწყისი 4 საათზე. (0.1254.12)

---

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი თანამოსამსახურე

**თევდორე სპირიდონის ძე გიორგობიანი.**

ვთხოვთ ნაცნობებსა და მეგობრებს პატივი სცენ განსვენებულის ხსოვნას და დაკრძალვას დაესწრნენ კვირას, 27 მაისს. (2.1292.1)

---

**სოფიო გრიგოლის ასული, გრიგოლ და ვასილ სპირიდონის ძენი გიორგობიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი—ქვრივს მეუღლისა, ხოლო მეორენი დაუვიწყარი ძმის

**ფეოფანე სპირიდონის ძის გიორგობიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 27 მაისს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხის სასაფლაოზე. პანაშვიდები იქნება გადახდილი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ფერმის ქუჩა, სახლი გიორგობიანისა. (2.488.1)

---

კვირას, 27 მაისს, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში დანიშნულია, ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**დეკანოზ ალექსანდრე-კირილეს ძე ზუმბულიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი **პელაგია როსტომის ასული ზუმბულიძისა** და შვილნი მისნი.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—487—1)

---

**ახალი კლუბი**

**სამშაბათს, 29 მაისს,**

**მეექვსე სიმფონიური საღამო.**

მონაწილეობას მიიღებს სკრიპკაზე დამკვრელი სოლისტკა **თ. მ. ძნელაძისა** და სიმფონიური ორკესტრი, 40 კაცისაგან შემდგარი, **ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.**

შესრულებულ იქნება: სიმფონია C-moll-ი, კალინიკოვისა, კონცერტი სკრიპკისათვის ორკესტრით მენდელსონისა; სიუიტა „Atlasinue", ბიზესი და „ოქროს მამალი", რიმსკი-კორსაკოვისა. **დასაწყ. სად. 9 ს.**

სტუდენტები იხდიან: კაცები 50 კ., ქალები და სტუდ. 25 კ. 3.[illegible]24[illegible]

---

**ახალი კლუბი**

შაბათს, 26 მაისს, 1912 წ. ქართულ თეატრის სცენაზე რუსის დრამატიულ არტისტთა გუნდი წარმოადგენს:

I. **ფრენოლოგი**

კოზმა პრუტკოვისა ოპერეტკა 3 მოქ. მუზიკა შჩელთშჩევისა,

1. **სანეფოს თავის ქალა. 2. წამება. 3. დანიშნული.**

II. **ქალის უმეცრობა** (чепуха)

ხუმრობა-ვოდევილი ერთ მოქ. ი. შჩეგლოვისა.

მონაწილენი: ქ-ბ.: პალკინისა, სტრუისკაისი, რუტკოვსკისა, ბბ. მაშინი, ორლოვი, ზუბოვი, ველიჟევი, ჩეთვერიკოვი და სხვ.

დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარ საათზე. (2.1241.2)

---

**ახალი კლუბი**

კვირას, 27 მაისს 1912 წ., კლუბის შენობაში დანიშნულია

**საგანგებო საზოგადო კრება კლუბის წევრთა.**

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. გადასინჯვა კლუბის წესდებისა; 2. ზამთრის შენობის აგების შესახებ; 3. გადასინჯვა 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 4. სამუდამო წევრთა მიღება.

დასაწყისი კრებისა დილის 12 საათზე. (4—1241—3)

---

**ნაძალადევის სცენის მოღვაწეთა წრე**

**შაბათს, 26 მაისს, მუშტაიდში**

**ნაძალადევის სცენის მოღვაწეთა ჯგუფის ძონების გასაძლიერებლად**

გაიმართება **უდიდესი სახალხო სეირნობა**

ერავალ-ფეროვანის პროგრამით: მიხ. კავსაძისა და კ. ჩარკვიანის **მომღერალთა გუნდი, დუდუკი. ლეკური,** რგოლების სროლა, პტიშვო, ჩინური ბილიარდი, ფოსტა, კონფეტი, დედოფალა, ყვავილები. ყველასთვის ხელმისაწვდომი ბუფეტი, ბუტერბროდები, ჩაი, ხილეული, გრილი სასმელები და სხვა. სეირნობაზე დაუკრავს **სამხედრო მუსიკა და აუშვებენ თვალწარმტაც შუშხუნებს.** სფერო, ბუშტები, სფერო ფერადის ვარსკვლავებით და სხვ. კავკასიაში ცნობილ პიროტეხნიკის კ. ყაზაროვის დამზადებული. ✦ საბავშო თამაშობანი 3—6 საათამდე საღამოს. სეირნობა დიდებისათვის საღამოს 6 ს.-დან. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 25 კაპ. ბავშვებისათვის, მოწაფეთათვის და ჯარის-კაცთათვის 15 კ. (3—481—2)

---

**პირველ თიბათვიდან (ივნისიდან) ქ. გორში** გამოვა ყოველ დღიური სალიტერატურო სავაჭრო და სამეურნეო **სახალხო** გაზეთი

**„ქართლი"**

**ყოველ კვირეულ სურათებიან დამატებით.**

| დამატებით | | უდამატებოდ | |
|---|---|---|---|
| გაზ. წლიურად ღირება | 5 მ. | „ „ „ | 4 მ. |
| „ ნახევარის წლით | 2 „ 60 კ. | „ „ „ | 2 „ 30 კ. |
| „ სამი თვით . . | 1 „ 50 „ | „ „ „ | 1 „ 20 „ |
| „ ერთი თვით . . | — 55 „ | „ „ „ | — 45 „ |
| ცალკე ნომერი ყველგან | 5 კ. | ცალკე ნომერი ყველგან | 3 კ. |

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 კაპ., უკანასკნელზე—5 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

**შენიშვნა:** ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი" გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და **უდამატებოდ.** შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველდღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე**

**მისამართი:** ქ. გორში, რედაქცია „ქართლი" ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე **ივ. კვალიაშვილთან**, გორი, ქალაქის აფთიაქი და **ივ. ავალიშვილთან**, ტფილისი, ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზია. (10—1276—7)

---

**25 მაისს, 1912 წ. მუშტაიდში,**

გაიმართება **სახალხო სეირნობა,**

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სკოლის სასარგებლოდ.** შემდეგის პროგრამით: დაუკრავს **სიმებიანი და სამხედრო ორკესტრები, დუდუკი.** ბავშვებისათვის სხ. და სხვა **გასართობები** მოეწყობა და **მუქთი პროექტორი.** სეირ. დაიწყება 4 ს. ბაღში შესასვლ. 25 კ., დიდებისათვის, პატარებისათვის და მოსწავლეთათვის 15 კ. (3.478.3)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

**შაბათს, 26 მაისს,** დანიშნულია

**საზეიმო საღამო გაზ. „მშაკი"-ს არსებობის 40 წ. იუბილესი**

**პროგრამა:** 1. **საკონცერტო განყოფილება:** ქ-ნნი ნ. ა. გრიქუროვისა, ლულუ კესსლერისა, ნ. ი. სპენდიაროვისა და ბ-ნთ კაპელნიცკისა, არმენიანისა და კრუირის მონაწილეობით. საკონცერტო განყოფილების ხელმძღვანელი **ი. ი. სპენდიაროვისა.**

2. **აპოთეოზი** ცოცხალ სურათს დასდგავს ცნობილი მხატვარი გ. ზ. ბაშინჯაღიანი.

3. **საიუბილეო მილოცვანი.** ✦— **დასაწყ. საღამოს 8 ½ საათზე.**

ბილეთების (დაკლებულის ფასებით) მიღება შეიძლება; 1. საიუბილეო ბიუროში, გაზ. **„მშაკი"**-ს კანტორაში (სერგიევის ქუჩ. № 5). 2. ცატუროვის მაღაზიაში, სასახლის ქ., 3. „პროგრესის" მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ. საკრებულოს ქვეშ, ხოლო დღესასწაულ დღეს, 26 მაისს, თეატრის კასაში. ✦ **დეპუტაციები და წარმომადგენელნი** იმ საზოგადოებათა, განმანათლებელ დაწესებულებათა, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ „მშაკის" დღესასწაულში მონაწილეობის მიღება და მილოცვა, თავის დროზე კეთილ ინებონ და საიუბილეო ბიუროს („მშაკის" კანტორაში) აცნობონ თავის ვინაობა და ბინა, რათა საპატიო ბილეთები ვაახლოთ. (4.483.3)

---

**ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი**

**კვირას, დილით 27 მაისს, 1912 წ.**

**ტფილისის ქართული მომღერალ-მგალობელთა**

**გუნდი**

**მიხეილ კავსაძის ლოტბარობით**

ჰმართავს

**„ქართულ კონცერტს"**

**ლექციით.**

[illegible] მდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებში და გლეხურ [illegible] გამოწყობილი შეასრულებს ხალხურ სიმღერებს.

კონცერტის წინად სტუდენტი **ივანე ნასიძე** წაიკითხავს ლექციას:

**„მეცნიერება და ხელოვნება"**

**ბილეთების ფასი 5—50 კ.** გამგე: **ნიკო ლქჟუავა.**

**დაწვრილებით პროგრამებში.** მორიგე წევრი: **ნიკ. კავსაძე.**

**დასაწყისი სრულ 12½ ს.** (3.483.2)

---



„შრომის" სტამბაში და წერა-კითხვის საზოგადოებაში **იყიდება**

**იუმორ. ჟურნალების კომპლექტები**

1. „ეშმაკის მათრახი", 1907 წ. 13 ნომერი . . . 1 მ. 30
2. „ეშმაკის მათრახი", 1908 წ. 34 ნომერი . . . 2 „ —
   იგივე მშვენიერის ყდით . . . 3 „ —
3. „მათრახი-სალამური", 1909 წ. ნომერი . . . 2 „ —
   იგივე ყდით . . . 3 „ —
4. „მათრახი და სალამური", 1910 წ. 34 ნომერი . 2 „ 50
   იგივე ყდით . . . 3 „ 50
5. „ალმანახები", 1909 წ. გამოც.: „აკაკი", „ეშმაკი", „ჯოჯოხეთი", „ტარტაროზი" და სხ. სულ 10 ნომერი — 50

6. „სალამური", 1911 წ. გამოც. 20 ნომ. 1 მ., 7. „ფაუსტი" გიოტესი, თარგ. მირიანაშვილისა 1 მ. 8. „კოოპერაცია", კანდელაკისა 30 კ.

ვინც გამოიწერს „შრომის" სტამბიდან თითოეულს არა ნაკლებ 5 ცალისა, დაეთმობა 25 პროც. ადრესი; Тифлисъ, Типографія „Шрома", Теофилу Болквадзе, და აგრეთვე О—ва распространенія грамотности. (5.[illegible]287.2)

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ძალენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **[illegible]იქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქ. ქირურგ. | **მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირაძოვი რ. დ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშოსნო-ქალ. სქესოვანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაძოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვ. ავადმყ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. ავადმყ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალ. ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კბ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—343)

---

**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 170)

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—62)

---

დაარსებულია 1904 წ. **სანატორიუმი** მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

**და საზაფხულო სამყოფი**

**ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა**

**პატარა ცემი**

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.

**მიიღება** დაქანცული და ნაავადმყოფარი; მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ქარის [illegible] **არ მიიღება** სიჭლექით დაავადმყოფებულნი, (25.1291.2)

---

**შპალიერი**

**ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.**

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.19)

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

**სტუდენტი** ამზადებს მოსწავლეებს ყველა საგნებში. სპეციალურად რუსული ენა და მათემატიკა. იკითხეთ „სახ. გაზეთის" კანტორაში. ტელეფ. 12-29. (5.1279.3)

---

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 304)

---

**ექიმი** კბილისა **ა. (გ.) ბ. დოლიძე**

**გადავიდა ნაძალადევში** (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგავს ხელოვნურ კბილებს, **დილის** 8—2 ს—მდე და **საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.38)

---

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.114).

---

**[illegible] სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"** (წლ.—1018—274)

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—43)

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—97)

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფებს ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

**ექიმი ივ. გოგსართელი**

მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.5.)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და სად. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—160).

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 7—ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—40.

# ტფილისი, 26 მაისი.

**„მშაკის“ იუბილეი.** დღეს სომხური გაზეთი „მშაკი“ დღესასწაულობს თავის არსებობის ორმოცი წლის თავს. ვინც კარგად იცის, რა ძნელია იმისთანა პირობებში მყოფ ერისთვის, რანაირშიაც ქართველები და სომხები არიან, გაზეთის გამოცემა და არსებობა, ვინც იცის, რამდენი დაბრკოლება უნდა სძლიოს გაზეთის მუშაკმა, მას თითქმის ნახევარ საუკუნის არსებობა ერთი გაზეთისა. არა ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენება. არ დავმალავთ, სომხებისთვის უფრო ძნელი იყო საქართველოში სომხური გაზეთის გამოცემა, ვიდრე ჩვენთვის, ქართველებისთვის. მიუხედავად ამისა სომხის მამულიშვილნი მრავალ დაბრკოლებას არ შეუშინდნენ, ბევრი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ თავისი პირმშო შვილი მაინც ორმოც წლამდე მიიყვანეს. სომხის მადლიერმა საზოგადოებამაც ღირსეულად დააფასა მათი შრომა, და სულ მოკლე ხანში, გარდა პლატონიურ თანაგრძნობისა, შეუგროვა საკმაო თანხაც, რომელიც „მშაკის“ ეხლანდელ რედაქციას საშუალებას მისცემს უფრო კარგს ნიადაგზე დააყენოს თავისი ორგანო.

ჩვენ ჩვენის მიმართულებით ბევრით განვსხვავდებით „მშაკის“ მიმართულებასთან, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ მას ყოველთვის მაღლა ეჭირა დროშა ერთა სოლიდარობისა და შეთანხმებულ მოქმედებისა. სომხებისა და ქართველების მომავალი სწორედ ამ სოლიდარობაშია, და ამიტომ მადლობის ღირსია ის გაზეთი, რომელიც ცდილობს გამონახოს სხვა და სხვა ერთა საერთო მოქმედების საფუძველი.

გაზეთი „მშაკი“ ჩვენ ერთ იმ გაზეთად მიგვაჩნია, რომელიც ცდილობდა ეს საფუძველი გამოენახა, და ამიტომაც სიამოვნებით ვეგებებით მის არსებობის ორმოცი წლის თავს.

# ნარკვევი

ერთი თვის წინად, კიევის მიტროპოლიტის მოხსენების ძალით, უწმიდ. სინოდმა სამსახურიდან გადააყენა კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორი ვ. ეგზემპლიარსკი, რომელ[illegible] იოანე ოქროპირი“. სინოდის ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ პროფ. ეგზემპლიარსკი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, რადგან მან გაჰბედა ეკლესიის დიდი მოძღვრის, იოანე ოქროპირის შედარება ეკლესიიდან განდევნილ პირთანო.

„რეჩი“ ეხება ამ საკითხს და ამბობს:

„უწმ. სინოდის ასეთმა „განკარგულებამ“ დიდი განცვიფრება გამოიწვია იმათი მხრით, ვინც იცნობდა პროფ. ეგზემპლიარსკისა და მის ნაწერებს. პროფესორი ცნობილი იყო, როგორც ღრმად მართლმადიდებელი და დიდი მორწმუნე და აი იგი მოულოდნელად ტლანქი საშუალებით განდევნეს „სადვთისმეტყველო მეცნიერების ტაძრიდან“, ვითომდა არა მართლმადიდებლობისა და „ტოლსტოიზმისათვის“. ამ საქმით დაინტერესებულნი მოუთმენლად ელოდებოდნენ თვით ბრალდებულის პასუხს, და მანაც არ დააგვიანა. რასაკვირველია, პასუხი ახალს არას ეუბნება მათ, ვინც დარწმუნებული იყო პროფ. სიმართლეზე, მაგრამ იგი საჯაროდ სამარცხვინო ბოძზე აკრავს მართლმადიდებლობის ფარისეველ ქომაგებს, რომელნიც უგნურობით ან ბოროტებით რყვნიან ქრისტეს მოძღვრების ნამდვილ აზრს. პროფესორი ეგზემპლიარსკი გულმართლად მოგვითხრობს თვისი განდევნის ისტორიას, იხსენიებს აგრეთვე იმ წერილსაც, რომლის მიზეზითაც იგი დაისაჯა და დამშვიდებული, დარბაისლური კილოთი კითხულობს: „რისთვის გამსაჯეს?“.

დიახ, რისთვის განსაჯეს? იტყვის ყველა, ვისაც ქრისტეს მოძღვრების სიმართლე სპეტაკი რწმენის უშწიკვლელ წყაროდ მიაჩნია და არა პოლიტიკის სახელმძღვანელოდ. განა ცოტაა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელზედაც უნებურად ენას გადგება საბედისწერო „რისთვის?“ მაგრამ პასუხი კი ვერ მოგვინახავს?

# სახელმწიფო სათათბირო

## დეპეშები

**როძიანკო თავმჯდომარეობს.**

განსახილველია, სხვათა შორის 33 კადეტის განცხადება: ფინანსთა მინისტრს განმარტება მოვთხოვოთ მოსკოვ - კიევ - ვორონეჟის რკინის გზის გამოსყიდვის გამოო.

მოიწონეს შემთანხმებელი კომისიის მოხსენება ასტრახანისა, ორენბურგისა და სტავროპოლის გუბერნიებში ერობის შემოღების თაობაზე.

განაგრძობენ კამათს ქალებისათვის ნაფიც ვექილებად ყოფნის უფლების კანონ-პროექტის თაობაზე.

**გერასიმოვი** მომხრეა კანონ-პროექტისა. საიურიდიო ფაკულტეტის უფლება შეგიზღუდნიათ, რადგანაც ფაკულტეტი დიპლომს აძლევს რუსის ქალს და თქვენ კი ცხოვრებაში მოქმედებას უშლითო.

გადასწყვიტეს კამათის მოსპობა.

დაიწყო ლაპარაკი კენჭის ყრის გამო.

**ბულატი.** „შრომის ჯგუფთანრ[illegible] ქალები ძალიან საჭირონი არიან და ქალები ისეთსავე ნიჭს გამოიჩენენ ამ დარგში რანაირიც მედიცინაში გამოუჩენიათო.

**გუჩკოვი** ოქტომბრისტების სახელით ლაპარიკობს. ქალებს რამდენსამე დარგში უკვე გამოუჩენიათ ნიჭი. ოქტომბრისტები წინააღმდეგნი არიან ქალების ყველა დარგში გათანასწორებისა, მაგრამ ვექილობას არა უდგას რა წინა და იმათ, ვინც ეხლა წინააღმდეგნი არიან კანონპროექტისა, თვითონვე შერცხვებათო. ოქტომბრისტები კანონ-პროექტს მისცემენ ხმასო (ცენტრელების ტაში).

**ნოვიცკი მე-2** წინააღმდეგია კანონპროექტისა. რუსის ხალხს ჯერ პური უნდა მივცეთ, მიწის საქმე მოუწესრიგოთ და მერე ვექილებზე ვიზრუნოთო.

**პურიშკევიჩიც** წინააღმდეგია კანონ-პროექტისა. ქალების გავექილება სახელმწიფოს ზნეობრივად დასცემსო.

**ამოსენიოკი** ნოვიცკის მიმართავს: ვინ დაგვალათ გლეხების დაცვაო. მემარჯვენენი ყოველთვის ჰყიდდნენ გლეხთა ინტერესებს და ჰპირდებოდნენ მიწას, თავისუფლებასა და სამოქალაქო უფლებებს. მაგრამ ეს ხომ ყველაფერი ტყუილია (მემარცხენეთა ტაში)

**გეგეჭკორი** ჩვენ, სოციალ-დემოკრატები კანონ-პროექტის მომხრენი ვართ, მაგრამ თვალს ნუ აიხვევენ ის ქალნი, რომელთაც პროექტი ეხება. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ სათათბირო თუ მიიღებს პროექტსა, საბჭო არ შეიწყნარებს. ქალები მხოლოდ მაშინ ეღირსებიან უფლებებს, როდესაც დემოკრატია გაიმარჯვებს. ამიტომ, თუ ჰსურს მოიპოვონ თანასწორობა, დემოკრატიასთან ერთად უნდა იბრძოდნენ.

**ტიჩინინი, გულკინი, კროპოტოვი ბაზილევიჩი და ლომონოსოვი** მომხრენი არიან კანონ-პროექტისა.

კანონ-პროექტი სწრაფ განსახილველად მიიჩნიეს.

გადასწყვიტეს მუხლობრივ განხილვა.

**პურიშკევიჩი** ნათქვამს იმეორებს. რუსეთის სახელმწიფოს აღსასრული მაშინ დადგება როდესაც რევოლუციონერთა მეოხებით რუსის ქალი ქუჩაში გაირიყება. მემარჯვენენი წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტისაო.

გადასწყვიტეს მოსპონ კამათი.

კანონ-პროექტი სამჯერ განხილვის შემდეგ მიიღეს.

მიიღეს კანონ-პროექტი გლეხთათვის სააღგილ-მამულო ბანკის მიერ „სანადელო“ მიწების დაგირავების დროს ფულის მიცემისა.

რამდენიმე კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღეს.

[illegible] განათლების სამინისტროს ხელიდან მიწათმოქმედებ უწყების ხელში გადასვლის კანონ-პროექტის შემუშავება.

სათათბირომ მიიღო რამდენიმე უმნიშვნელო კანონ-პროექტი.

გადასწყვიტეს სამხედრო ბეგრის მოსახელად ახალ წესების შემოღებისათვის ვადად დანიშნონ 1912 წლის პირველი დეკემბერი.

შემდეგი სხდომა 26 მაისს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სეირნობა მუშტაიდში.** დღეს მუშტაიდში გაიმართება სეირნობა, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ნაძალადევის თეატრის დამთავრებას. დიდი შრომა გასწია მუშა ხალხმა თავისთვის პატარა, ღარიბულად მოწყობილ შენობის ასაგებად, სადაც იმართება წარმოდგენები რუსულ, ქართულ, სომხურ და სხ. ენებზე, იმართება ლექციები, საბავშვო კითხვები და სხ. თვით მუშები, კაცები და ქალები, თავის ხელით მუშაობდნენ ამ შენობაზე. იგი ჯერ დაუმთავრებელია. სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება ყურადღებას არ დააკლებს დღევანდელ სეირნობას და დაესწრება შესაძლო შემოწირულებით და სეირნობაზე დასწრებით.

✦ ტფილისის სასტატო ინსტიტუტის დარბაზში 5 ივნისიდან გაიმართება **ხელსაქმის კურსები** და 1 ივლისამდე გასტანს. კურსებზე სამოქალაქო სასწავლებელთა მასწავლებლებს შეასწავლიან ხეზე ამოჭრას, ამოწვას, ჩუქურთმას, ღებვას და ძერწვას. კურსებზე დამსწრე მასწავლებლებს ტფილისის ერთერთ სასწავლებელში დაუთმობენ ბინას უფასოდ. დანარჩენი ხარჯი კი თვითონ უნდა გასწიონ.

✦ **ფრენა.** ხვალ დიდუბის მოედანზე ფრენა გაიმართება. იფრენს ფრინავი კაციანი.

✦ **საქალაქო პენსია.** ქალაქის საბჭომ დაადგინა კვლავ აძლიოს პენსია (წელიწადში 120 მან.) ადელხანოვის ქარხანაზე თავდაცემის დროს მოკლულ პოლიციელის ტარასოვის ქვრივს.

✦ სავაჭრო ბანკის აქციებზე ხელის მოწერა უკვე დასრულდა 24 მაისს. ხელის მოწერის შედეგმა ყოველს მოლოდინს გადააჭარბა: ხელი მოაწერა 1470 კაცმა 5,985,050 მან. აქციაზე.

✦ **საქალაქო გადასახადების პატიება.** ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელს კრებაზე დაადგინა დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი სრულიად აპატიოს რვა ღარიბს პირს, ხოლო 17 პირს გადასახადის რამდე[illegible]

✦ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს** გამგეობამ ქალაქს შემწეობა სთხოვა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სასადილოს ათი თუმანი დახმარება აღმოუჩინოს. საბჭომ ეს დადგენილება გააუქმა და დაავგინა, სასადილოს ოცი თუმანი მისცეს.

✦ **საქალაქო სტიპენდიები საბაღოსნო სასწავლებელში.** ქალაქის საბჭომ, თანახმად გამგეობის წინადადებისა, დაადგინა, ოთხი საქალაქო სტიპენდია დაარსოს საბაღოსნო სასწავლებელში. თითო სტიპენდია 150 მანეთიანი. ორი სტიპენდია დაარსებულ იქნება დიდებულ მწერლის და მეურნეობის მოყვარულის ლ. ნ. ტოლსტოის სახელობაზე.

✦ **პუშკინის სახსოვრად** წურინოვის სახლზე მარმარილოს ფიცარს 27 მაისს მიაკრავენ.

✦ პარიზის საელექტრო-ტეხნიკო სასწავლებლის სტუდენტს **ეპ. ნ. ალშიბაიას** დაუწერია ქართულად პოპულიარული გამოკვლევა **„როგორ ჰფრენს ადამიანი“**, იგი ეძებს გამომცემელს. მსურველმა იკითხოს ჩვენს რედაქციაში.

✦ **ტფილისის უნივერსიტეტი.** დეპეშაა სააგენტო იტყობინება: კავკასიის ნამესტნიკისა და მის მოადგილე ნიკოლსკის თანადასწრებით მინისტრთა საბჭოს სხდომა ჰქონდა **ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების გამო.** საბოლოო გადაწყვეტა საკითხისა სხვა დროისათვის გადასდეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საგანგებო კრება 27 მაისს მოხდება. სხვათა შორის, კრებამ კლუბის წესდება უნდა გადასინჯოს და კლუბის საზამთრო შენობის აგებაზე ითათბიროს.

### სასწავლებლებში

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სოლოლაკის **საქალაქო სკოლის** შენობა გუდოვიჩის ქუჩაზე ააგოს, ხოლო ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობისა—ანდრეევის ქუჩაზე.

### სასამართლო.

✦ ტფ. სამოსამართლო პალატამ 5 წლის კატორღა მიუსაჯა დეკანოზიშვილს, რომელსაც თავის ბიძაშვილის განზრახ მოკვლა ბრალდებოდა.

✦ ტფ. სამოსამართლო პალატის უფროსი **თავმჯდომარე ნ. ნ. ლაგოდა** ტფილისიდან გაგრას გაემგზავრა.

### გორი

✦ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ დაადგინა, ყოველ წლის პირველ თიბათვეს გამართოს სეირნობა განყოფილების საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ პირველ თიბათვიდან ექიმი მ. ს. კობერიძე ხსნის საკუთარ საავადმყოფოს. საავადმყოფო მოთავსებული იქნება გ. ზანგურიძის სახლში,

✦ ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის დაბალ კლასების მოწაფენი უკვე დაითხოვეს საზაფხულოდ.

### ქავკავი

✦ **თავი მოიკლა** სამეურნეო უწყების ადგილობრივ განყოფილების ახლად გამწესებულმა უფროსმა დადულოვმა (დ. ს.).

# რედაქციისაგან.

„ზაკავკაზსკ. რეჩ“-მა დაჰბეჭდა კორესპონდენციის სახით ერთი უცნაური პრეტენზია საჩხერის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობისა. გამგეობა ხსენებულ ბიბლიოთეკისა [illegible] და „სახალხო გაზეთის“ [illegible] წერის [illegible] ციამ გაზეთი მოგვისპო მაშინ, როდესაც რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა „ზაკავკ. რეჩ“-მა, „ნივამ“ და „ნოვაია ჟიზნმა“ არ მოგვისპესო. აქედან გამგეობას ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ჩვენ ბიბლიოთეკის მტრები ვართ და გვირჩევნიან, ხალხმა სამიკიტნოში იაროს. ასეთი დასკვნის გამოტანა საჩხერის ბიბლიოთეკის გამგეობისა და „ზაკავკ. რეჩ“-ის რედაქციის სინიდისისთვის მიგვინდვია. ჩვენ კი ჩვენის მხრივ საჩხერის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობას მოვახსენებთ შემდეგს: წესიერება არავის უნდა ჩამოერთვას დანაშაულში. იმის მაგიერად რომ ჩვენ გვისაყვედუროთ, სჯობდა თქვენ თითონ გეფიქრათ თქვენს საქმეზე და დროზე შემოგეტანათ ფული. ამას მოითხოვს წესი, და თუ სასაყვედურო აქვს ვისმეს, ისევ თქვენ, რომელნიც ჩვენგან წესის დარღვევას მოითხოვთ. ბიბლიოთეკა თუ გაზეთის ხელის მომწერია, ისიც საზოგადო წესს უნდა დაემორჩილოს.

რაიცა შეეხება წუწუნს იმის შესახებ, ბიბლიოთეკა ღარიბიაო, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ღარიბი ბიბლიოთეკა ჯერ ქართულ ჟურნალ-გაზეთების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა და მერე რუსულ ჟურნალ-გაზეთებს გამოიწერდა.

რა უნდა საჩხერის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში „ზაკავკ. რეჩ“-სა, „ნივასა“ და „ნოვაია ჟიზნს“, თუ ღარიბები ხართ?

# „სახალხო გაზეთის“ კანტორისაგან

გუშინდელ „ზაკ. რეჩის“ ნომერში ჩვენი გაზეთის მიმართ საყვედურის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ საზოგადო წესად გვაქვს, ყოველთვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ვუგზავნოთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც შემოტანილი ფული არა ჰყოფნის იმ ჯამს, რომელიც ჩვენ გვერგება. თანახმად წინადვე გამოცხადებულ ხელის მოწერის პირობებისა, გაზეთი იგზავნება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან და მხო[illegible] (ეს წესი გამოწვეულია იმით, რომ ფოსტა **წინდაწინვე** გვახდევინებს სრულ თვეებისას და თვის პირველიდან მეორე თვის პირველამდე). ამას გარდა ჩვენ წლიურ ხელის მომწერთ ეძლევათ პრემია; წლიური ხელის მომწერი კი რის წლიური ხელის მომწერი იქნება, თუ 2 თვის ფული მაინც არ ექნება წინდაწინვე შემოტანილი. თუ ეს ასე არ იქნება, წლიური ხელისმომწერს უფლება (პრემიის მიღება) უნდა დაეკარგოს და, როგორც ასეთებს, ამის შემდეგ ასეთი ხელის მომწერელთ თვიურ ხელის მომწერ-

# კრედიტი და ბანკი.

(წვრილი საკრედიტო დაწესებულებების გავრცელების გამო საქართველოში).*)

(შემდეგი)

ეხლა ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებაში მოიპოვება მუდამ სხვა და სხვა ხარისხის თავისუფალი თანხა. აი ამ თავისუფალი თანხით იკვებება კრედიტი. თავისუფალი თანხა არა დროს არა ჩერდება და მუდამ ეძებს რომელიმე წარმოებაში დაბინავებას. მაგრამ მარტო თავისუფალი თანხა არ არის საკმარისი, რომ კრედიტმა იარსებოს. თავისუფალ თანხის პატრონს მუდამ იმედი უნდა ჰქონდეს, რომ გასესხებული ფული დაუბრუნდება უკანვე. რაზედ ამყარებს ფულის გამსესხებელი ამ იმედს? გავშინჯოთ მეორე პირობა კრედიტის არსებობისა და მივიღებთ ამ კითხვაზე პასუხს.

მეორე პირობა კრედიტის არსებობისა არის ის, რომ გასესხებული ფული უეჭველად წარმოებაში უნდა დატრიალდეს და ამ წარმოებამ ვადაზე შესძლოს ფულის დაბრუნება. ამიტომ ფულის გამსესხებელი მუდამ იმას უნდა სცდილობდეს, რომ ფული კარგ მწარმოებელ ხელს გადასცეს. თუ რომ წარმოების სათავეში სდგას ისეთი პირი, რომელმაც თავისი საქმე კარგად იცის და შეუძლიან ნასესხი ფული სარგებლიანად დაატრიალოს წარმოებაში, მაშინ გამსესხებელს სრული იმედი ექმნება, რომ გასესხებელი ფული არ დაეკარგება. აი ამიტომ საწარმოვო კრედიტის დროს ქონებრივ მხარეს მოვალისას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რაც მის პიროვნებას და ნიჭს. ფულის გამსესხებელმა ფული მანამდინ არ უნდა მისცეს მსესხებელს, მანამ არ გაიგებს კარგად, თუ მას ნასესხი ფული რაში უნდა დახარჯოს. თუ იგი დარწმუნდება, რომ ფულის მთხოვნელი მწარმოებელია და ფულიც წარმოებისთვის უნდა, მაშინ უშიშრად და ადვილად გასცემს ფულს. აი ამიტომ დიდი ბანკები, როდესაც ვინმეს ვალს აძლევენ, დაწვრილებით შეიტყობენ ხოლმე მოვალის პიროვნებას. დიდ ქალაქებში არსებობენ ამ მიზნით ეგრედ წოდებული „ცნობის მიმცემი კანტორები“ (Справочныя конторы), რომლებიც დაწვრილებით ცნობებს აძლევენ მოვალეებზე დიდ ბანკებს. ეს კანტორები იმდენად მოვალის ქონებრივ მხარეს არ აქცევენ ყურადღებას, რამდენადაც პიროვნების უნარს და ნიჭს.

აი ამიტომ ვალი იმდენად კანონის ძალაზე არ არის დამყარებული, რამდენადაც ნდობაზე. უპირველესი განძი კრედიტისა არის ნდობა და მხოლოდ ნდობა. ეს ნდობა იბადება იმიტომ, რომ მოვალე დარწმუნებულია თავის გაცემული ფული ნაყოფიერად გადაბრუნდება მოვალეს საწარმოვო დაწესებულებაში. ამიტომ ვალის გადახდის ვადა უნდა ეთანხმებოდეს იმ დროს, რა ხნის განმავლობაშიც მოვალეს თანხის გადატრიალება შეეძლება.

ეხლა გადავიდეთ მესამე პირობაზე კრედიტის არსებობისა. მესამე პირობა კრედიტისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არის ის, რომ თანხის ტრიალი წარმოებაში სარგებლობას აძლევდეს როგორც ფულის გამსესხებელს (მევალეს), ისე ვალის ამღებს (მოვალეს. ეს საკითხი ძალიან უახლოვდება და დაკავშირებულია იმ კითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ კრედიტს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ყველა ზემოდ ნათქვამიდან მკითხველი მიხვდებოდა, რომ უმთავრესი მნიშვნელობა კრედიტისა შემდეგია: კრედიტი საშუალებას აძლევს, როგორც კერძო პიროვნებას, ისე მთელ ხალხის მეურნეობას, უფრო ნაყოფიერად მოიხმაროს არსებული თანხა.

მართლაც ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ კრედიტის საშუალებით სხვის საწარმოვო დაწესებულებაში ხდება თანხის ტრიალი. ეს თანხის ტრიალი კი გვიჩვენებს, რომ ერთ და იმავე თანხით შეუძლიანთ ისარგებლონ ორმა, სამმა და მრავალმა საწარმოვო დაწესებულებამ. ესევე აჩენს ბაზარზე მრავალ საქონელს, მუშები შოულობენ სამუშაოს, მოვალე ღებულობს წარმოების დამთავრების შემდეგ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც უნაწილებს მევალესაც და თვითონაც საკმარისი რჩება.

მეორე მხრით მევალეც სარგებლობს გაცემული ფულით. ის ნაწილი თანხისა, რომელიც მას რამდენიმე ხნის განმავლობაში დაბანდებული უნდა ჰქონოდა და ვერ ესარგებლნა, კრედიტის საშუალებით მოქმედებაში არის და თავის პატრონსაც სარგებლობას აძლევს.

მაშასადამე კრედიტი ორთავე მხარეს (ფულის გამსესხებელს და ვალის ამღებს) აძლევს სარგებლობას. ამიტომ თავისუფალი თანხის პატრონი მუდამ სცდილობს თავისი ფული გაასესხოს. მწარმოებელიც ხშირად თავის ფულთან ერთად თავის წარმოებაში ნასესხ თანხასაც ატრიალებს, რადგანაც წარმოებაში რამდენადაც მეტი თანხა დაიხარჯება, იმდენად მეტი სარგებლობა ექნება საქმის მოთავეს და უფრო მედგრად შეხვდება კონკურენციას.

**ბანკი.** მწარმოებლებს მუდამ სჭირდებათ ისეთი დაწესებულება, სადაც გროვდება საზოგადოებაში გაფანტული თავისუფალი თანხა და საიდანაც ეს თანხა ნაწილდება მწარმოებელთა შორის. მწარმოებელს, რომელსაც ფული სჭირდება, არ შეუძლიან პირადად ეძებოს თავისუფალი თანხის პატრონი, რადგანაც ამ ძებნაში ბევრ დროსაც დაჰკარგავს და ხშირად ვერც იპოვნის ამისთანა პირს. მეორე მხრით თავისუფალი თანხის პატრონიც ვერ შესძლებს ვალის ამღების პირის პოვნას. და თუ მოვალის ძებნას გამოუდგა, ის დრო, სადამდინაც თავისუფალი ჰქონდა თანხა, კიდეც გათავდება. ამ რიგად თანხა ვერ მიასწრობს სხვის წარმოებაში გადატრიალებას და უსარგებლოდ დარჩება. ამიტომ საჭიროა ისეთი ალაგი, სადაც გროვდება საზოგადოებაში გაფანტული თავისუფალი თანხაა და აქედგანვე ნაწილდება მწარმოებელთა შორის. ეს ისეთი დაწესებულებაა, სადაც ადვილად პოულობენ მევალე და მოვალე ერთი მეორეს. ესეთი ალაგი არის ბანკი. ბანკი, მაშასადამე, ისეთი დაწესებულებაა, რომელიც იზიდავს თავისუფალ თანხას და რომელიც აძლევს სესხს ისეთ პირებს, რომლებსაც ფული სჭირდებათ წარმოებისთვის. ბანკი საშუალებას აძლევს ერთ და იგივე პირს, ერთ და იმავე დროს, იყოს ფულის გამსესხებელი და მოვალეც.

როგორც ვხედავთ ბანკს, ან ყოველივე საკრედიტო დაწესებულებას, აქვს ორგვარი მოქმედება. ერთის მხრით მან უნდა მოიზიდოს საზოგადოებაში გაფანტული თავისუფალი თანხა და მეორეს მხრით—გაასესხოს ფული. პირველ გვარ მოქმედებას ჰქვიან პასსიური მოქმედება, ხოლო მეორეს—აქტიური.

აქედან ბანკის ორ გვარი უმთავრესი ოპერაცია: პასივი და აქტივი.

გავშინჯოთ ორთავე ოპერაცია ბანკისა.

ბანკის პასივს შეადგენს: 1) საკუთარი ძირითადი თანხა. ეს თანხა შეიძლება კერძო პირისა იყვეს, მაშინ იქნება კერძო ბანკი. ძირითადი თანხა შეიძლება აგრეთვე საზოგადოებისა ან ამხანაგობისა იყვეს, საზოგადოების ბანკი, ან საკრედიტო ამხანაგობა. საკუთარი თანხის გარდა ყოველივე საკრედიტო დაწესებულებას აქვს ვალად აღებული თანხა. ეს თანხა სდგება იმ თავისუფალ თანხიდან, რომელიც საზოგადოებაში არის გაფანტული. ამ თანხას ბანკი თავის მოქმედებით იზიდავს. რამდენადაც ბანკის მოქმედება კარგ ნიადაგზე არის დამყარებული, იმდენად იგი მეტ ნდობას იხვეჭავს საზოგადოებისგან, რის გამოც საზოგადოებაში გაფანტული თავისუფალი თანხა მიისწრაფვის მისკენ. ამიტომ თუ ბანკს უნდა, რომ ბლომად შეიძინოს საზოგადოების თავისუფალი თანხა და ამით გაადიდოს თავისი საწარმოვო თანხა, უნდა ეცადოს საზოგადოების ნდობა მოიპოვოს. საზოგადოების ნდობას კი ბანკი მაშინ მოიხვეჭავს, თუ ბანკის გამგეობა კარგად აწარმოვებს საქმეს და თუ ბანკს საკმარი მესამე ნაწილი ბანკის პასივისა—სათადარიგო თანხა—აქვს.

პასივი არის წყარო აქტივისა. თუ პასივი არ იქნება, ბანკის აქტიური მოქმედებაც შესწყდება. ამიტომ აქტიური მოქმედება ბანკისა მუდამ უნდა ეთანხმებოდეს პასიურს. მთელი პოლიტიკა ბანკისა პასივის და აქტივის დამოკიდებულობაზეა აშენებული. თუ აქტივის მოქმედება შეთანხმებულია პასივზე, მაშინ ბანკი არა დროს არ ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში. ამიტომ ბანკის გამგეობის მოვალეობაა ამ კანონს დიდი ყურადღება მიაქციოს.

გავშინჯოთ, თუ რაში მდგომარეობს აქტივის პასივთან შეთანხმება.

როგორც ვიცით, ბანკის უმთავრესი დანიშნულება არის ფულის შენახვა და სესხის გაცემა. როდესაც ბანკი ახლად იწყობს მოქმედობას, მაშინ იგი მარტო სესხს აძლევს სხვებს. შემდეგში თან და თან ბანკის ძირითად თანხას ემატება ბანკში სასარგებლოდ შეტანილი ფული. ამ ფულს ბანკი ცუდად არ დააყენებს და აწარმოვებს თავის საკუთარ თანხასთან ერთად. აი სწორედ, როდესაც ბანკი სხვის ფულს აწარმოვებს, მაშინ უნდა გაფრთხილება და აქტივის და პასივის შეთანხმება.

ბანკი ფულს ამ ნაირად აწარმოვებს: ზოგ ფულს იგი აძლევს სესხად მწარმოებლებს დანიშნულ ვადამდე, ზოგით თამასუქებს ანაღდებს, ზოგით ფასიან ქაღალდებს ყიდულობს და სხვა.

(შემდეგი იქნება)

**შ. გოგებაშვილი,**

*) იხილე 1912 წლ. „სახ. გაზ.“-ს № 605.

ლად უნდა ჩავთვალოთ და ჩვენზე დარჩენილი, წინდაწინ გამოგზავნილი ფული პრემიის **ფასად** ავიღოთ.

საჩხერის სამკითხველოს 1 მაისამდე გამოგზანილი ჰქონდა მხოლოდ 5 მან., არ აკმაყოფილებდა ზემოდ მოყვანილ პირობებს. ისაყვედურებიან, 5 დღეს არ დაგვაცადესო: განა ძნელი იყო სამკითხველოსთვის, შეეტყობინებინა ჩვენთვის, რომ მხოლოდ 5 დღეს და თუნდ მეტსაც დაიგვიანებდნენ ფულის გამოგზანას? მაგრამ სამკითხველოს **არ მოაგონდა** თავის დროზე არამც თუ ფულის გამოგზანა, არამედ შეტყობინებაც.

გაზეთის დაკლებულ ფასში დათმობის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ **ღარიბ** სამკითხველოებს ყოველთვის ვუთმობთ ნაკლებ ფასში; საჩხერის სამკითხველოს კი ერთხელაც არ მოუმართავს ასეთის თხოვნით, რომ ჩვენც გამოგვერკვია, რამდენად საჭიროებს იგი ქართულ გაზეთის მხრით ქველმოქმედებას.

არ უარვყოფთ, რომ ჩვენ სასტიკად ვიქცეოდეთ, მაგრამ **ჩვენი** ცხოვრების გამოცდილებამ ასე გვასწავლა, რომ თუ ასე არა—ჩვენ გაზეთს შეიძლება დღევანდლამდე თავი ვერ მოეხწია.

## ჟურნალისტის დღიური.

65.

### ნების-ყოფის აკრობატიული ვარჯიშობა.

ბიუროკრატიულ წრეებში პრესასა და პრესის წარმომადგენლებთან ბრძოლა საპატიო ხელობადაა გადაქცეული.

რომელი მათგანიც უფრო კარგად მოახერხებს პრესის დამცირებას, ალაგმვას, წარჩინება მას ეძლევა. პრესასთან და საზოგადოებრივ აზრთან ბრძოლა წარჩინებისთვის მოგონილი გამოცდაა. იცის ყველამ ესა, აღარც არავის უკვირს. მაგრამ, როდესაც ამ ხელობას კისრულობს ადამიანი, რომელსაც თავისი თავი საზოგადო მოღვაწედ მოაქვს, გაკვირვების საბუთიც გვეძლევა. ჩვენც გაგვიკვირდებოდა, რომ პრესასთან მებრძოლ ადამიანად არ გამოსულიყო ქუთათურების გმირი დავით ნიჟარაძე, ბანკის რწმუნებულთა კრების თავმჯდომარედ არჩეული. ტფილისის გაზეთები გადმოგვცემენ, დავით ნიჟარაძემ პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი კრებიდან დაითხოვაო. დიდი ვაჟ-კაცობაა, ლაპარაკი არ უნდა? დიდი გამოხატულებაა ნების ყოფისა? ისღა დაგვრჩენია მოწიწებით მუხლი მოვიდრიკოთ ქუთათური გმირის წინაშე, რომელმაც იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ პრესის წარმომადგენლები კრებიდან დაითხოვა. ცუდი მაგალითი წამბაძველობის საღერღელს უშლის ადამიანს, თუ განსაკუთრებით იგი ისეთი ადამიანია, როგორც დავით ნიჟარაძე. უფლება მოსილი ბიუროკრატები კრების წარმომადგენლებზე ავარჯიშებენ თავიანთ ნების ყოფას. უფლება მოსილმა დავით ნიჟარაძემაც პრესის წარმომადგენლებზე აავარჯიშა თავისი დაავადებული ნებისყოფა. ფსიხოლოგიური საფუძველი ორივე შემთხვევაში ერთნაირია, მაგრამ შედეგი კი ერთნაირს შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ადამიანზე. ბიუროკრატის ვარჯიშობა გვაღელვებს, თავაშვებულ თავადიშვილის ვარჯიშობა კი გვაცინებს. ბიუროკრატის მდგომარეობა სერიოზულია, დავით ნიჟარაძისა კი—კომიკური.

ბიუროკრატის ვარჯიშობა ჩვენზე არ არის დამოკიდებული. დავით ნიჟარაძის აკრობატიულ ვარჯიშობას კი ადვილად მოუღებს ბოლოს თვით საზოგადოება, რომ მოისურვოს. მაგრამ, რახან ქუთაისის ბანკის რწმუნებულნი მას თავმჯდომარის უფლებას ანიჭებენ, ალბად კიდეც ესიამოვნებათ მისი ვარჯიშობა. ნეტარება მათ! სხვა რაღა გვეთქმის?

**შინაური.**

## „მშაკის“ იუბილეის გამო

ქართველმა მკითხველმა იცის, რომ დღეს სომხის ხალხის უმეტესი ნაწილი იხდის სომხურ უძველეს გაზეთის „მშაკის“ არსებობის 40 წლის იუბილეის.

„მშაკის“ იუბილეი სომხის ხალხისათვის საზოგადო-სალიტერატურო აზროვნების საკულტურო დღესასწაულია, ვინაიდან 1872 წ. პირველად გამოსულმა „მშაკმა“ სომხის საზოგადოების აზროვნებაში იმ გვარი წვლილი შეიტანა, რომელსაც სომხის საზოგადოება ვერ დაივიწყებს. 1876 წლამდე „მშაკი“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ხოლო 1876 წელს კვირაში ორჯერ. 1878 წლიდან გამოდიოდა კვირაში ხუთჯერ. მას შემდეგ „მშაკი“ ყოველ დღიურ გაზეთად გარდაიქმნა.

„მშაკის“ 40 წლის ისტორია, რომ დაგვეწერა, იგი სომხის ხალხის წინმსვლელობის, კულტურულ გარდაქმნის ისტორია იქნებოდა, რადგანაც სომხის ხალხის 40 წლის ცხოვრება დასურათ-ხატებულია „მშაკში“, როგორც სარკეში.

„მშაკის“ დამაარსებელი განსვენებული პუბლიცისტი გრიგორ არწრუნი დაიბადა 1845 წ. ტფილისში. სწავლა-განათლება მიიღო ჯერ რუსეთში, მერე გერმანიის ქალაქ-ჰეიდელბერგში, სადაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო 1869 წელს. სომხურ ენის საფუძვლიანად შესასწავლად მან ერთი ხანი დაჰყო ვენეციის მხითარისტებთან.

იგი შვილი იყო ცნობილ ღენერლის ერემია არწრუნისა. გრიგორ არწრუნის გარშემო შეიკრიბა მაშინდელი ახალგაზრდობა და თავისუფლად მოაზრეთა ცოტად თუ ბევრად განათლებული ძალები.

„მშაკის“ თანამშრომელთა რიცხვში იყვნენ: რომანისტი რაფფი, გამარ-ქათიპა, მ. ამერიკიანი, დოქტორი ფონ-კრიკენი, გ. სუნდუკიანი, პროფ. ანდრეას არწრუნი, პ. არაქელიანი, ალ. ქალანთარი, ი. ტერ-მარკოსიანი, პერ. პროშიანი და სხვა და სხვა.

არც ერთი საკითხი არ აღძრულა სომეხთა ცხოვრებაში, რომლის შესახებაც თავისი ხმა არ აღეძრა და აზრი არ გამოეთქვა „მშაკს“. მის აზრს, მის ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

„მშაკის“ უპირატესობათაგანია ის გარემოება, რომ მან ფრიად დიდი ადგილი დაუთმო ერთა სოლიდარობისა და ერთმანეთის გაცნობის საკითხს, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში.

თუ როგორი მსოფლ-მხედველობა გამოიჩინა „მშაკმა“ ამ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ქართველ ხალხთან სოლიდარულ ცხოვრების შესახებ, მგონია, ყველა ქართველმა მკითხველმა იცის, ვინაიდან „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე მრავალჯერ ყოფილა დაბეჭდილი „მშაკის“ წერილების თარგმანი.

დავამთავრებთ ჩვენს წერილს და ვუსურვებთ ამ გაზეთს ხანგრძლივ არსებობას, რათა დღეის შემდეგაც განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა და ემსახუროს სომხის ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს

**ერთი სომეხი.**

## შემოწირულება

**„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ შემოსწირეს:**

1) მღვდ. იოანე გვარამაძემ (ვინმე მესხმა): ლოცვანი, რომელიც დაუბეჭდია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ახალციხეში ხიზაბაველ მღვდელს იოსებ ხუციშვილს საკუთარის ხელით გამოჭრილ ხის ასოებით.

2) თავ. არსენ ივანეს ძემ ბებუთაშვილმა: ა) ქართული ხელნაწერი: „ცნობა თუ ვითარის წარმატებით დასასჯა კავკასიის მთასა შინა მცხოვრებნი ხალხნი 1832-სა წელსა მთავარმართებელმა... ბარონმა როზენმა პირველმან“, და ბ) რუსული ხელნაწერი: „Дневникъ путешествій за границей 1847 г.“—თავ. დ. ო. ბებუთაშვილისა.

3) ქეთევან მალხაზის ასულმა კვალიაშვილისამ: მცირე ჟამნი და ლოცვანი (მხედრული ხელნაწერი).

4) ნიკო იოანეს ძემ ახმეტელაშვილმა: ა) ლოცვანი და პარაკლისი (მხედრული ხელნაწერი) და ბ) რუსული შავი ფული 1767 წლისა.

5) მღვდ. ანტონ ცეცხლაძემ: ვერცხლის პატარა ჯვარი წმ. ნაწილებისათვის (გურიაში მიწაში ნაპოვნი).

6) იოსებ ივ. პაიჭაძემ: ა) წარწერიანი ხანჯალი, ბ) სპარსული ორი ვერცხლის ფული და სპარსული ორი ფული ნიკელისა.

7) იაკობ იოსების ძემ ორბელიანმა: ოდიკი.

8) ილარიონ ალექსეევმა: შავი ფული ჯელალ-ედინისა.

9) ანტონ ივანეს ძემ ფალავანდიშვილმა: ა) ძველებური ორი პატარა ბოხჩა (ერთი თარგებისა), ბ) ძველებური დიდი ბოხჩა, გ) ძველებური აბგა და დ) ძველებური შალი ქირმალალასი.

„საზოგადოების“ საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

## მოვაგონებთ ხელის მომწერთ

რომ ყოველ თვის **1 რიცხვიდან**, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს წარმოდგენილი გაზეთი აღარ ეგზავნება. **„სახ. გაზეთის“ კანტორა.**

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

## რწმუნებულთა კრება

**24 მაისის სხდომა**

კრება გაიხსნა $7\frac{1}{2}$ საათზე. წინანდელი სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ **გ. დიასამიძემ** მიმართა კრებას შემდეგი სიტყვით: ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში ამოვიკითხე დიდი სასიამოვნო ამბავი შესახებ იმისა, რომ განზრახვაა ჩვენს წარჩინებულ მოღვაწეს, აწ უკვე განსვენებულს ნ. ცხვედაძეს ძეგლი დაედგასო. ეჭვს გარეშეა, რომ ის ადამიანი, რომლის მხნეობამაც ასეთი საშვილიშვილო შენობა ააგო, როგორიც ჩვენი გიმნაზიისა, ღირსია შესაფერი პატივისცემისა. აი, ამიტომ, თუ გაზეთის ცნობა მართალია, მე მივმართავ საზოგადო კრებას, რომ მანაც თავისი წვლილი გაიღოს ღირსეული მოღვაწის ძეგლის ასაგებად.

კრებამ ერთხმად დაადგინა: მიენდოს ამ საკითხის გადაწყვეტა გამგეობისა და ზედ. კომიტეტის შეერთებულ სხდომას გარეშე პირთა მიწვევით.

შემდეგ მოხდა თანამდებობის პირთა არჩევნები.

არჩეულ იქმნენ:

გამგეობის წევრად **ლ. გ. ჯანდიერი** (99—32)

კანდიდატად **ა. ა. ჯორჯაძე.**

ზედამ. კომიტეტის წევრებად: **ი. დ. აფხაზი** (85—46), **კ. ნ. აფხაზი** (113—18), **ი. ტ. ბარათაშვილი** (108—23), **პ. ა. გრუზინსკი** (120—11). **გ. ნ. ყაზბეგი** (108—23), **მ. გ. მაღალაშვილი** (87—44), **მ. დ. ჭავჭავაძე** (90—41), **დ. გ. ჯორჯაძე** (87—44).

დამფასებ. კომისიის წევრებად: **კ. ზ. მაყაშვილი** (124—7), **ლ. ა. ფურცელაძე** (108—23), **ი. პ. მგალობლიშვილი** (116—15).

კანდიდატებად: **ი. გ. ციციშვილი** (87—44), **ი. დ. ციციშვილი** (88—43), **რ. რ. ყანჩელი** (90—41).

ბანკზე დარჩენილი მამულების მართვის წესების შემმუშავებელ კომისიაში: **პ. დ. გედევანიშვილი** (126—35), **კ. დ. მესხი** (90—41) **მ. კ. ყიფიანი** (101—30), **ს. თ. ხუნდაძე** (107—24), **ი. ო. იოსელიანი** (121—10).

## ქუთ. საად.-მამ. ბანკის რწმუნებულთა კრება.

**22 მაისს.**

კრება დაიწყო, ოქმი დაამტკიცეს. ხანგრძლივი კამათი ასტყდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შესდგეს, ან ვინ უნდა წარმოადგინოს რეზოლიუციები გამგეობისა დი ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებათა შესახებ, შემდეგ მხარი აუქციეს ამ საგანს და კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ანგარიშის თაობაზე.

**ალ. კრინიცკიმ** შემოიტანა შემდეგი რეზოლიუციები: 1) სმეტის გარეშე ხარჯის გაწევა, შესაძლებელია მარტო ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული სხდომის გადაწყვეტილებით. 2) ახალ თანამდებობის დაწესება გამგეობას აკრძალული უნდა ჰქონდეს რწმუნებულთა ერთი კრებიდან მეორე კრებამდე. 3) ზედამხედველ კომიტეტს მიენდოს ბანკის მოსამსახურეთა მიმოსვლის შესახებ და საზოგადოთ ბანკის საქმეების გამო ინსტრუქციის შედგენა. 4) კომიტეტს დაევალოს გამორკვევა იმისი, თუ ბანკის მოსამსახურეთ სხვა და სხვა რაიონებში მოგზაურობის დროს დღიური სასყიდელი რამდენი ეძლიოთ. 5) აიკრძალოს სამსახურიდან გასულ მოსამსახურეთა დაჯილდოება რწმუნებულთა კრების ნება დაურთველად. 6) აკრძალულ იქნას კასიდან უორდეროდ რაიმე ფულის გაცემა. 7) ზედამხედველ კომიტეტსა, და გამგეობის კრების მიერ არჩეულ ხუთი პირის შეერთებულ კრებას მიენდოს წარმოუდგინოს მომავალ კრებას სმეტა თოფურიასეულ სახლის გადაკეთებისა ბანკის საჭიროებისათვის.

კომისიაში ირჩევენ: თ-დ ს. ნ. ლორთქიფანიძეს, ი. ფ. ავსარქისოვს, კ. დ. ბაქრაძეს, ი. ი. ოცხელს და ა. მ. კრინიცკის.

კომისიას მიეცა მცოდნე პირთა მოწვევის უფლება 8) ავანსების გაღება აიკრძალოს ვიდრე ვალი არ დაიფარება. ვისაც ავანსი არა აქვს მიცემული, მას მიეცეს უფლება სამი თვის ჯამაგირი განსაკუთრებულ პირობებში იმ პირობით, რომ 10თვის განმავლობაში გაისტუმროს ეს ვალი. ხოლო ვისაც მეტი ავანსი აქვს წაღებული მან თავის ჯამაგირიდან 30% გადასდოს ვალის დასაფარავად.

**კიტა აბაშიძე.** ამ რეზოლუციებს რომ ვისმენ, ახირებულ მდგომარეობას განვიცდი. ჩვენ რეზოლუციის დადგენაში თანხმანი ვართ, ხოლო შესრულებაში არა. ოცი წელიწადია ვითხოვთ, ავანსებს ნუ გასცემთ და ამსრულებელნი კი არ ისმენენ ჩვენს მოთხოვნას და როცა ამ პირობაზე გვაქვს მსჯელობა, მაშინ ჩვენ თანახმანი აღარ ვართ. აი ახლაც, გამგეობა გვეუბნება ავანსად წაღებულ ფულს ვახდევინებთო და ზედამხედველ კომიტეტის წევრმა ქილაძემ გვითხრა—ეს მართალი არ არისო. ამ წლის მაისის ავანსების რაოდენობა და 1 იანვრისა არაფრით განირჩევაო, მაშ სად არის ჩვენი რეზოლუციების სისრულეში მოყვანა?

**თ-დი მექი ფალავა.** გუშინ განვგიმარტეთ, თუ რანაირად მოხდა ავანსების გადიდება. იანვრიდან ავანსების ჯამიდან დაიფარა 1000 მანეთზე მეტი და მეტიც არ შეგვეძლო მიგვეღო. საქმე ასეა და ამას იქით რაც გენებოთ ის ზომა მიიღეთ.

ამ კამათის შემდეგ ალ. კრინიცკის ყველა წინადადებანი ხმის უმეტესობით მიიღეს.

კრება ღებულობს ერთხმად წინადადებას, რომ ის მოსამსახურეები, რომელნიც ბოროტად გამოიყენებენ ბანკის ნდობას და ფულს გაფლანგავენ, დაუყონებლივ სისხლის სამართალში მისცენ.

ამის შემდეგ წლიური ანგარიში ერთხმად დაამტკიცეს.

## ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ყველამ ვიცით, რომ მცირე აზიის ჩრდილოეთი მხარე—შავი ზღვის პირას მდებარე—მრავლად არის დასახლებული ქართველთა მოდგმით. ერთ დროს დიდებულ პონტის სამეფო, რომელიც დღეს მარტო ტრაპეზონის ვილაიეთისაგან (გუბერნიისაგან შესდგება — მეტ ნაწილად დასახლებულია მეგრულად მოლაპარაკე ჭან-ლაზებით და ბუნებრივი გაგრძელებაა ბათუმის ოლქისა. ამათში შენახულია ქართული დიალექტი, სახე, მრავალი ადათები, სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი და სხვა. მოსახლეობა ძველის ძველია, უფრო ძველი, ვიდრე ნამდვილი საქართველოსი.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ჭანეთი 15 საუკუნის დამლევამდე საქრისტიანო ქვეყანა იყო და ექვემდებარებოდა ტრაპეზონის იმპერიის ბერძენთა მეფეს. მაგრამ თურქთა შემოსევამ სამუდამოდ დასცა საბერძნეთი და საქართველოც წელში გაღუნა.

სულთან მეჰმედ მე-2-მ გამარჯვებულმა 1453 წელს აიღო კონსტანტინეპოლი, რასაც მალე ტრაპეზონის იმპერიის დაპყრობაც მოჰყვა; სწორედ ამის შემდეგ გაამაჰმადიანეს მთელი ჭანეთი, ბათუმის მხარე და ძველი ზემო ქართლის ზოგიერთი პროვინციები. 400 წელიწადია, რაც საქართველომ დაჰკარგა მესამედი ნაწილი მთელი ერისა, მარტო თურქთა გაძლიერების და მაჰმადიანობის გავრცელების წყალობით.

ბედმა ესეც არ გვაკმარა და 1878 წლიდან, როცა სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძალით—რუსეთმა ბათუმი ჩაიბარა, ბათუმის ოლქში მცხოვრები მრავალი ქართველი მაჰმადიანი აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. აქ მათ მისცეს სამოსახლო მიწები სხვა და სხვა განსაკუთრებით მცირე აზიის დასავლეთ ნაწილებში, როგორც მაგალითად: **ისმითის** სანჯაკში (მაზრაში) და **ბრუსსას** ვილაიეთში (გუბერნიაში). არიან კიდევ სხვაგანაც, მაგრამ ზემოხსენებულ ადგილებში უფრო თვალსაჩინოა და დიდ გამოკვლევასაც თხოულობს. სამწუხაროდ, ახალად გადმოსახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრება, არამც თუ არ არის აწერილ-შესწავლილი, არამედ არც კი ვიცით სად და რამდენი სცხოვრობს?!.. საჭიროა მათი სოციალურად და ეკონომიურად შესწავლა, მცხოვრებთა რაოდენობის გამოკვლევა და რუქის შედგენა ქართველთა სოფლებისა! დღევანდლამდე თუ შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ დღეს ადვილია ოსმალეთის განახლებულ წეს-წყობილების გამოთ. ერთი სიტყვით, ყოველივე ჩვენს სურვილსა და ძალაზე დამოკიდებული და ამიტომ მეტი ყურადღება გვმართებს!

ამ შესავლის შემდეგ მინდა მკითხველს გავუზიარო ჩვენი მოგზაურობა **ისმითის** მაზრის ქართველთა სოფლებში, სადაც ჯერ არვის უმოგზაურნია. ბევრი ქართველი გვინახავს სოფლიდან ჩამოსული კონსტანტინეპოლს, ბევრი რამ გადმოუციათ სხვა და სხვა პირებს, მაგრამ წასვლას სოფლად ჯერ არ ვფიქრობდით; ხოლო იმ მიზეზით, რომ მოსალოდნელია მალე გვქონდეს „ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის უმთავრესი მიზანია განათლების გავრცელება სოფლად—გადავწყვიტეთ ხანმოკლედ გვემოგზაურნა მახლობელ ისმითის მაზრის ზოგიერთ სოფლებში, რათა ზერელე წარმოდგენა მაინც გვქონოდა მათზე. აი, ეს ხანმოკლე, 4 დღის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მსურს გაუზიარო ჩვენს მკითხველებს.

მაისის 16, მე და პატრი შალვა ვარდიძე გავემგზავრეთ რკინის გზით დაბა საბანჯისკენ, რადგან გაგონილი გვქონდა რომ, იქ ბლომად არიან ქართველებიო. ნაცნობი არვინ გვეგულებოდა; მატარებელში 2 ქართველი გავიცანით და მათ მოგვცეს რამდენიმე პირის ადრესი საბანჯაში. ისინი სხვა სოფლიდან იყვნენ; დაგვპირდით, რომ მათაც ვნახავდით. 5 საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით საბანჯაში; აქ დავბინავდით მდიდარ ახმედ-ეფენდი მამიძესთან, რომელიც ერთ დროს კონსტანტინეპოლის პოლიციის უფროსადაც ყოფილა, დღესაც რუსეთის ქვეშევრდომია, სცხოვრობს სოფლად, როგორც მემამულე. ნაკითხი კაცია ოსმალურად და არაბულად და ძალიან უყვარს ღვთისმეტყველებაზე კამათი. საზოგადოდ ძალიან თავისუფალი მოაზრეა და ბევრი საყურადღებო ამბებიც იცის*). მისის დახმარებით დავათვალიერეთ როგორც დაბა საბანჯა ისე მის გარემო მრავალი სოფლები. სოფლებს მდებარეობა აქვს ვაკე-ფერდობებში, ლამაზი შესახედია, მოგაგონებს იმერეთის სოფლებს: განიერის გზით და დიდის და დაშორებულის ეზოებით; სუფთა და გვარიანი სახლები, უმეტეს წილად აგურისა, კრამიტით დახურული. ხშირია აგრეთვე ორ-სართულიანი სახლებიც. დ. საბანჯა სავაჭრო ადგილია, იქნება 100 წვრილი ვაჭარი; სულ ქართველობაა და ქართულიც ყველამ იცის**). დავესწარით საბანჯის ბაზრობა-პარასკეობას, სადაც ჩამოსულიყვნენ ქართველები მახლობელ სოფლებიდან. მეორე დღეს უკვე აღწერილი გვქონდა ის მიდამო და ამიტომ იქაურობას გამოვემშვიდობეთ, დედა-ენები დაურიგეთ და ჩვენის სასიამოვნო მასპინძლის ახმედ-ეფენდი მამიძის თანხლებით გავსწიეთ მატარებლით დერბენდისაკენ. აქაც მრავალი სოფლები გავიარეთ და გზა და გზა ყველას ვპირდებოდით სტუმრობას. შემდეგ ამოვირჩიეთ შუაგული სოფელი, ბალაბა, სადაც 30 მოსახლეა. დავბინავდით სამნივე ფერჰათ-ეფენდი დიდვანიძესთან. ეს მიდამო კიდევ უკეთესი გამოდგა; იგივე სურათი: კარგი სახლები, ლამაზი და გაშენებული ეზოები, წყაროები, წისქვილები და სხვა. გაოცებას ვიყავით ჩვენების მოსახლეობით. აქაც ერთი დღე დავრჩით, მოვიარეთ საჩქაროდ და მეორე დღეს ისევ დერბენდში ჩავედით, სადაც ჩვენი პირველი მასპინძელი მამიძე გამოგვემშვიდობა და მატარებლით საბანჯისკენ გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ ისმითისაკენ გამოვემგზავრეთ. ახლა კი არა გვიჭირდარა რადგან ადრესები და წერილები გვქონდა. მალე ჩავედით სამაზრო ქალაქ ისმითში, საიდანაც გვმით ისმითის ყურეზე უნდა გავსულიყავით. ცოტა ადრე იყო და ერთ ნაცნობ ჭანს გავყევით სასტუმრო „ბათუმში“. ისმითში იქნება 25,000 მცხოვრები, ქართველებიც ბლომად ყოფილა, მაგრამ [illegible] და ბერძნები [illegible]. აქედან გავემგზავრეთ ზღვაზე და რასაკვირველია გემზეც ქართულად ვლაპარაკობდით. თურმე სამსე ყოფილა ქართველებით. რო ასე უცბოთ დაგვინახეს-ნელ-ნელა ჯერ „სტრაჟნიკი“ გამოგველაპარაკა ქართულად, მერე ბოქაული და ბოლოს გვაჩვენეს მრავალი ქართველები. მოხუცებიც მრავლად იყვნენ და ეტყობოდათ მეტი ქართული კილო. იქვე ქალთა განყოფილებაც იყო და სულ ქართველები ყოფილიყვნენ. ყურს უგდებდენ ჩვენს ლაპარაკს და ეტყობოდათ გაოცება და სიამოვნება. ერთის მხრივ ალტაცებაში მოვდიოდით, რომ ამდენ ქართველთ ვხვდებოდით, მაგრამ მეორეთ—გულს სევდა ეფინებოდა, როცა ვიგონებდით მათ გადმოხვეწას და სამშობლო კერის ჩაქრობას და რომელსაც თვითონაც გულის ტკივილით იგონებენ.

(დასასრული იქნება)

**დავით ჩიქოვანი.**

*) სხვათა შორის გადმოგვცა რომ, პოლიცმეისტრობის დროს არხივში ვიპოვნე წიგნი სახელწოდებით „დიარ-ბექირ“, რომელიც ეხება ქართველთა უძველეს მოსახლეობას და გამაჰმადიანება-გადმოსახლებასო. წიგნი შეიცავს 300 გვერდს და დაწერილია სულთან-სულიმის მეუღლე ქართველ ქალისაგან (1566—1574). სამწუხაროდ წიგნს რამდენიმე ათეული ფურცელი აკლია, რის შოვნასაც ცდილობს ბ. მამიძე.

**) სიტყვა ქართველი აქ მშვენივრად ესმისთ. გურჯს უწოდებენ ქართულად მოლაპარაკე აჭარლებს, კობულეთლებს და სხვათ, ხოლო მეგრულად მოლაპარაკეთ—ჭანებს, ორივეს ერთად—ქართველებს.

## სარაკო გაგედულოგა

(პასუხად გორის სავაჟო პროგიმნაზიის ინსპექტორს მ. რ. ზაალიშვილს).

> ...მე თვითონ დიდი მომხრე ვარ, რომ ქართული ენის მასწავლებელი პედაგოგიურ საბჭოს წევრი იყოს...
>
> **მ. ზაალიშვილი.**

ამ ერთი კვირის თუ კვირა-ნახევრის წინად ბ. **შინაურმა** „სახ. გაზ.“ ფურცლებზე გვაუწყა—ქართული ენა აბუჩად აიგდეს გორის სავაჟო პროგიმნაზიაშიო. ეს რომ ამოვიკითხე, გული მომიკვდა, მეწყინა, მით უმეტეს, რომ ამ სასწავლებელზე თავად-აზნაურობის ფულიც იხარჯება. ბ. შინაურის მიერ აღნიშნული მწარე სინამდვილე რომ ამოვიკითხე, დავინტერესდი, გავბედავდი ბ. ზაალიშვილი ჭეშმარიტების დარღვევას, თუ მგრძნობდა თავის დანაშაულს და მდუმარებას არჩევდა სინანულის ნიშნად. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა „სახალხო გაზ.“ № 605, გადავშალე და ბ. ზაალიშვილის „წერილი რედაქციის მიმართ“ ამოვიკითხე.

იგი ბრძანებს, მე ერთგული დამცველი ვარ ქართული ენისა, **„დიდი მომხრე ვარ, რომ ქართული ენის მასწავლებელი პედაგოგიურ საბჭოს წევრი იყოსო“**. ამას არ გვაკმარებს და განაგრძობს რიხიანად **„ქართულ ენას სხვა საგნებში არ ვარჩევ და მის გვარიანად დაყენებაზე ბევრჯელ მქონია საგნის კომისიაში სჯაო“**. მიუხედავად ამისა, მას თავის ნებით **დროებით** დაუთხოვნია მასწავლებელი, **რომ პირადად მოლაპარაკებოდა მზრუნველს** (ალბად იმიტომ, რომ ქართული ენა უფლებით აღჭურვა (?)) ნუ თუ ბ. მიხეილ რომანის ძევ, ისეთი გულუბრყვილო გგონიათ საზოგადოება, რომ შავი თეთრად მოაჩვენოთ, თვალი აუბათ? ვთქვათ დაგიჯერეთ, რომ **დროებით** დაითხოვეთ მასწავლებელი. როგორ მოხდა, რომ ამ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც არ იფიქრეთ **დროებით** დაგეთხოვათ იგი, არამედ ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა თქვენმავე მასწავლებელმა ბ. სნიტკომ საბჭოს კრებაზე მოგმართათ: „მოძღვარო, გვაუწყეთ, ყველას აქვს აქ გადამწყვეტი ხმა თუ არაო? რად აუხვიეთ **ბ. შინაურის** სიტყვებს გვერდი, რატომ არ დაარღვიეთ მისი ცნობა? ნამდვილად საქმე ასე იყო. საპედაგოგიო საბჭოს კრებაზე ლაპარაკი იყო ერთი მოწაფის შესახებ. დანარჩენ მასწავლებელთა საწინააღმდეგო აზრისა იყო ქართული ენის მასწავლებელი. ამან, რასაკვირველია, ზოგიერთთა გულისწყრომა გამოიწვია. ყველაზე მეტად აითო, გაწიწმატდა, მასწავლებელი სნიტკო და ზემოხსენებულ შეკითხვით მოგმართათ. თქვენ კი, ბ. მიხეილ რომანისძევ, იმ დღეს „არც მწვადი დასწვით, არც შამფური“. მეორე დღეს კი გამოსჩხრიკეთ გიმნაზიის „არქივი“ და საბჭოს გადაუწყვეტელად, თქვენის ნებით, მოწიწებით, მორჩილებით გამოუცხადეთ ქართულ ენის მასწავლებელს: უკაცრავად, თავს ნულარ შეიწუხებთ საბჭოს კრებებზე დასწრებით, ამის ნებას კანონი არ გაძლევთო. ვთქვათ მართლა ამის ნებას ქართულ ენის მასწავლებელს კანონი არ აძლევდა და ხუთი წლის განმავლობაში თქვენის მოხებით, როგორც თქვენა ბრძანებთ, იღებდა იგი მონაწი-

ლეობას საბჭოს კრებებში. თუ ასე იყო მართლა, თქვენ მადლობის მეტი არა გეთქმითრა, მაგრამ ძაღლის თავი სწორედ აქა მარხია, რომ თქვენ **დროებით**(?) სწორედ მაშინ დაითხოვეთ იგი, როცა სნიტკომ ზემოდ აღნიშნული შეკითხვა შემოიტანა. იქნება ეს უბრალო „სოვპადენიე“ იყო, თქვენი ენით რომა ვსთქვათ? მაგრამ... ვაი რომ ამას სხვა სუნი უდის და ამას თქვენზე უკეთ მკითხველი ხვდება!!.. გვეფიცებით **ქართული ენის ერთგული დამცველი ვარ, ქართულ ენას სხვა საგნებში არ ვარჩევო.** ბარაქალა, ბარაქალა თქვენს გულადობას, თქვენს საარაკო გამბედაობას!!. როგორი დამცველიცა ბრძანდებით ქართული ენისა, ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით და თქვენი თავის თქვენივე ქებაც სრულიად საჭირო არ არის. ეხლა კი საქმე რომ აღარ გავაგრძელოთ გულზე ხელი დაიდეთ და გულახდილად აღიარეთ:

1) რად დაითხოვეთ ქართული ენის მასწავლებელი სნიტკოს შეკითხვის შემდეგ?

2) ნამდვილად ქართულ ენას არ არჩევთ სხვა საგნებიდან?

3) რომელი გაკვეთილი აქვს დათმობილი ქართულ ენას?

4) მეცადინეობის დროს შესულხართ როდისმე ქართულ ენის გაკვეთილზე, გამოგიცდიათ მოწაფეები?

5) არ უკრძალავთ ქართულ ენაზე ლაპარაკს მოწაფეებს?

თუ დადებითი პასუხი იქნება ყველა ამ კითხვაზე, მე პირველად მოვიხდი ბოდიშს საზოგადოების წინაშე და თქვენს სამართლიანობას ვაღვიარებ. მოვითხოვთ ქართულ ენის მასწავლებლისაგანაც ამოიღოს ხმა, გვამცნოს საქმის ნამდვილი ვითარება, გამოიტანოს ნათელზე ჭეშმარიტება.

P. S. აქვე საჭიროდ ვცნობ აღვნიშნო გორის „განათლებულ“ ინტელიგენციის გულ-გრილობა საზოგადო საქმისადმი. ორი-სამი კვირა იყო გასული ბ. ზაალიშვილის საქციელის შემდეგ. თითქმის ყველამ იცოდა ეს ამბავი, მაგრამ ყველა სდუმდა, ხმას არა სძრავდა, ვიდრე **ბ. შინაურმა** შორიდან არ გვაუწყა საქმის მდგომარეობა. მაშინ კი ავყვირდით, მამულიშვილური განგაში ავსტეხეთ. მაგრამ დახე, ჯერი საქმეზე მიდგა. რამდენიმე პატიოსანმა პირმა განიზრახა კომისია შეედგინათ საქმის გამოსაკვლევად. ჩამოატარეს ფურცელი, მაგრამ... ხელი არავინ მოაწერა. განიზრახეს მშობელთა კრების მოწვევა, ამანაც მეორე დღესვე ჩაილულის წყალი დალია. დღეს გორის ცა გადიწმინდა, გადაკრიალდა, საზოგადო სინიდისი დამშვიდებულია, ყველა „გორულად“ მხარ-თეძოზე წამოწვა, ისევ ტკბილს ძილს მიეცა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ასეთნი ვართ გორელები. „არც მწვადსა ვწვავთ, არც შამფურსა“.

**გ.-ანიძე.**

## ლენის ამბები

18 მაისს, როგორც „რუსკოე სლოვო“ გადმოგვცემს, სამთო დეპარტამენტმა, თანახმად ვაჭრობის მრეწველობის მინისტრის დასკვნისა, შეატყობინა ლენის ამხანაგობის გამგეობას, რომ უკანასკნელისაგან განზრახული ზომა—მუშათა მონაწილეობა ამხანაგობის მოგებაში—ვერ გააუმჯობესებს მაღაროების ვითარებას და ვერც გაფიცვას მისცემს დასასრულს.

ასეთი ცნობის მიღებისათანავე ლენის ამხანაგობის გამგე დირექტორმა, ბარ. გინცბურგმა დაუყონებლივ შეჰყარა არა ჩვეულებრივი კრება დირექტორებისა მდგომარეობის გამოსარკვევად.

ბარ. გინცბურგმა კრებას გააცნო სამთო სამართველოდან მოსული ქაღალდი და აგრეთვე ცნობანი მინისტრთა საბჭოს სხდომისა, სადაც განხილულა ამხანაგობის დირექტორების დადგენილება მუშათა ფონდის ცაარსების შესახებ.

ლენის ამაანაგობამ წყრომა მიუძღვნა ვაჭრობის მინისტრსა და მინისტრთა საბჭოს და შემდეგ შეუდგა თათბირს, თუ როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ ახლა, როცა აუარებელი ოქროა გასარეცხად დამზადებულიო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამხანაგობამ დაადგინა მუშათა ხელფასის გადიდება, მხოლოდ იმ პირობით, რომ საერთო ჯამი მომატებისა არ გადასცდეს 300.000 მ.

ამ დადგენილების შესახებ ამხანაგობამ 19 მაისს დილით აცნობა სამთო დეპარტამენტის დირექტორს, რომელმაც ესევე დადგენილება დაუყოვნებლივ შეატყობინა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრსა და სახელმწ. საბჭოს წევრს ს. მანუხინს.

ვაჭრობის მინისტრმა მოიწონა ამხანაგობის დადგენილება და მიანდო სამთო დეპარტამენტის დირექტორს, რათა მან დაუყოვნებლად დეპეშით აცნობოს ინჟ. ტულჩინსკის ეს ამბავი, რომ მან მუშებს გააცნოს ამხანაგობის დადგენილება და გამოსძებნოს საშუალება მუშებისა და სამრეწველოს ადმინისტრაციის შესათანხმებლად.

სამთო დეპარტამენტს იმედი აქვს, რომ ახლა მალე დასრულდება ლენის მუშათა გაფიცვა.

## სპარსეთის ამბები

### დეპეშები.

**თეირანი.** როგორც დანამდვილებით გაუგიათ, ხარსინი, რომელიც აჯანყებულებს გაემაგრებინათ, მთავრობის ჯარს აუღია.

სალარ-უდ-დოულე და მოჯელალუს-სალტანე ოსმალეთის საზღვართან არიან თურმე.

**თავრიზი.** თავრიზის მიდამოებიდან მცხოვრებნი სერაბს გროვდებიან. გუბერნატორმა და მცხოვრებლებმა შუჯა-უდ-დოულეს სთხოვეს ტყვია-წამალი, რადგან სერაბში მთლად გამოლეულა. შუჯას ყარაჯადიდან 100 მხედარი გაუგზავნია. თავრიზის ვაჭრებს ეშინიათ, შაჰსევანებმა სერაბი რომ აიღონ, არდებილ-თავრიზის გზას შეგვიკრამენო.

**თავრიზი.** სპარსეთის მთავრობას შეატყობინეს, 22 მაისს, რუსეთის რაზმმა, გენერალ ფედოროვის ბელადობით, საჩქაროდ გაილაშქრა შაჰსევანების წინააღმდეგ. 23 მაისს ცერაბის ზემოდ სროლა ასტყდა. რუსებისათვის რვა კაცი მოუკლავთ და რამდენიმე ცხენი დაუჭრიათ. შაჰსევანებს რამდენი დაუხოცეს, ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

ვაჭრების ცნობით, თეირანისა და ქამადანის გზა დაიჭირესო.

არდებილის ახლო მომხდარ ბრძოლის დროს შაჰსევანები რუსებს დიდის გამწარებით ეკვეთნენ. რუსის ჯარმა მოახერხა პოზიციების წართმევა. ბოლოს შაჰსევენები იფრინეს.

რუსებისათვის დაუჭრიათ: 18 და მოუკლავთ 10. შაჰსევენებისათვის 100 მეტი.

დანამდვილებით გაუგიათ, რომ სულდუზის ასკერები და არტილერია სხვაგან წასულა. მათ მაგივრად ახლები მოსულან და დიდი ზარბაზნები ჩაუტანიათ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ

25 მაისი.

**არეულობა ბელგიაში.**

**ბრიუსელი.** საღამოს მანიფესტანტებსა და ჟანდარმერიის შეტაკება მოუხდათ. ხალხმა ჟანდარმებს ქვები დაუშინა. რამდენიმე კაცი დაუჭრიათ.

**მაროკოს ხონთქარი**

**ფეცი.** ხონთქარი რაბათს გაემგზავრა. რენიო ტანჟერის გზით საფრანგეთს წავიდა.

**ალბანელთა საქმე**

**სალონიკი.** მთავრობის ცნობით იპეკს ახლო აჯანყებულთა და ჯარს შეტაკება მოსვლია. დიდი ბრძოლის შემდე, ალბანელები უფრენიათ.

**უსკიუბი.** იპეკს დასცემიან ალბანელები, მაგრამ ოსმალებს მოუგერებიათ. იპეკს დიაკოვოდან 2 ბატალიონი კიდევ გაუგზავნიათ.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალბანელთა საქმის თაობაზე შემკითხველთ უპასუხა. მინისტრმა განიხილა ალბანელთა მოძრაობის სხვა და სხვა ხანა მინისტრის აზრით მოძრაობა გამოუწვევია ყალბ ცნობას, გადასახადის გადიდებას აპირებენო. ამ ხმას გამოუწვევია მუშებზე თავდასხმა, რომელნიც სკოლას აშენებდნენ, თურმე. მინისტრის აზრით ალბანელები აჯანყებით ვერაფერს გახდებიან. მთავრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს ჯარს.

პალატა დააკმაყოფილა მინისტრის განმარტებამ.

**ინგლისის პალატა.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, სატრანსპორტო სამრეწველოების მუშათა ეროვნული კავშირი დაეთანხმა მთავრობის წინადადებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ, საქმე მორიგების გზას ადგია.

### რ უ ს ე თ ი.

**მფრინავის ჩამოვარდნა.**

**სევასტოპოლი.** მფრინავი პორუჩიკი პავლოვსკი „ფარმანით“ რო დაფრინავდა, ჩამოვარდა. საფრენი დაიმსხვრა, მფრინავი დაშავდა.

**გაზეთის დაჭერა.**

**პეტერბურგი.** გაზეთ „რეჩის“ 24 მაისის ნომერი დაიჭირეს. რედაქტორი სამართალში მისცეს 1034 მუხლის მესამე პუნქტის ძალით.

**სალიტერატურო ნაწარმოებთა დაცვა.**

**პეტერბურგი.** „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება საფრანგეთსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე. ხელშეკრულება ეხება სალიტერატურო ნაწარმოებთა საკუთრების დაცვას.

## წერილი რედ. მიმართ

შაბთს, 19 მაისს, ქიათურის ელექტრო-თეატრ „სიზმარში“ ბ. ალექსანდრე ვლ.-ძე წერეთელმა დაუთმო მთელი საღამოს შემოსავალი შეღავათ პირობებში აქაურ საქალებო პროგიმნაზიას და დიდძალი საზოგადოება დაესწრო:

მადლობას უცხადებს ამ სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო ბ. წერეთელს და აგრედვე საზოგადოებას, რომელიც თანაგრძნობით მოეკიდა ამ კეთილ საქმეს.

ქიათურის საქალებო პროგიმნაზიის გამგე **მ. ჩხეიძე**

ბ-ნო. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადაუხადო ბ-ნ. ფრანგიშვილს, რომელმაც თხუთმეტი მანათის წიგნები უფასოთ დამითმო.

პატივისცემით **პ. ყვავილაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საავარაკო მ ა ტ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე- კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109/104 —III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საავარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან საქონ. და სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულნი იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71) |

## გემების მიმოსვლა

### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები** ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახანისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

## განცხადებანი


### ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი**, —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნლოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.56)

---

**ექიმი** ალ. **კბილისა სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა.

---

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი „SAL—ბიკრეფენი“.**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით ერთად ერთი საშუალებაა. [illegible] ლოფშივე მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ. 116111.)

---

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ გირ. ოჩკის ხიზილა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—67)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება დრამატიული თხზულებანი:**

| | | |
|---|---|---|
| ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ. | 50 | კ. |
| ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ. „ | 20 | „ |
| ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ. . „ | 60 | „ |
| გაყრა, გ. ერისთავისა . „ | 5 | „ |
| გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ. „ | 25 | „ |
| გალატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ. „ | 10 | „ |
| დემონი. ოპერეტ. . . „ | 50 | „ |
| დარბეულნი. დრ. 4 მოქ. „ | 30 | „ |
| დრამ. თხზ. დ. ერისთავისა „ | 1 მ.— | „ |
| დალი. დრ. 3 მოქ. . . „ | 20 | „ |
| დრამ. და კომ., „სორაპ“ გამ. „ | 1 მ.— | „ |
| დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ოინბაზი . . „ | 50 | „ |
| ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ. „ | 35 | „ |
| თანამედროვე პიესები ს. ტარ.: კოცნა პირვ. და უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი. „ | 30 | „ |
| ილიას დღე ქიათ. და ბატ. და ყმა | 20 | „ |
| კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ. | 50 | „ |
| მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ. „ | 15 | „ |
| მტარვლის ბედი. დრ. მოქ. „ | 10 | „ |
| მეგობრობა. დრ. 4 მოქ. „ | 30 | „ |
| მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ. „ | 40 | „ |
| მოლიერი. დრ. თხზ. . . „ | 50 | „ |
| მარო. დრამის ნაწყვ. „ | 3 | „ |
| მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. . . . „ | 50 | „ |
| მეორე კაენი. დრ. 3 მოქ. „ | 30 | „ |

| | | |
|---|---|---|
| მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა „ | 40 | „ |
| ნაძირალნი. გორკისა 4 მ. „ | 25 | „ |
| ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ. „ | 40 | „ |
| ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან. „ | 25 | „ |
| ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ. „ | 50 | „ |
| ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ. „ | 40 | „ |
| პანთეონი ქართ. თ.: იქვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია. . „ | 30 | „ |
| რიჩარდ. . . . . . . „ | 40 | „ |
| საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ. „ | 25 | „ |
| საღამოს ერთი ცხვირი ხერია. კომ. 1 მოქ. . . „ | 10 | „ |
| საშინელი ბრუჯნი . „ | 10 | „ |
| სამეგრ. შთ. ლევან ვ. ყიფ. „ | 40 | „ |
| უმარილის ბრალია. ქ. 3 მ. „ | 10 | „ |
| ფიქრები. დრ. 5 მოქ. . „ | 50 | „ |
| ქრისტინე. დრ. 5 მოქ. . „ | 20 | „ |
| ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან. „ | 20 | „ |
| ღალატი. ნათ. ყიფშიძისა „ | 50 | „ |
| ღალატი. ნათ. ნ. ავალ. 1 | 25 | „ |
| ღალატი. ნათ. კ. მესხისა „ | 25 | „ |
| ცოლი ვიტირო თუ ფული!? „ | 15 | „ |
| შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ. | 30 | „ |
| წყურვილი. დრ. 3 მოქ. „ | 30 | „ |

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.50)

---

## სნეულნო! უფრთხილდით სიყალბეს!

რადგანაც „სპერმინის“ იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოჰოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „**სპერმინ-პელა**“ აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

## სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მალამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა უღირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКIЙ ИНСТИТУТЪ
ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ья
ПОСТАВЩИКИ ДВОРА
ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА
С.ПЕТЕРБУРГЪ
В.О. 7 линiя 18.




Метцль. № 68398. (12.1208.6)

---

## ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საყცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი სოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, სოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, ლოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პარომოიკი) ახალის სისტემისა და საუკეთესო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერ. მანქანა „ტორპედოსი“**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.9)

ქუთაისში


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.